ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**g-93. 93242422**

თარიღი:**29/08/2024**

საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო პლაკატების გასაკრავად (გამოსაფენად) ადგილების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გამოსაკრავად განისაზღვროს შემდეგი ადგილები:

ა) კულტ-სახლების ფასადები და მათი კაპიტალური მესერი;

ბ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული სასწავლო აღმზრდელობითი დაწესებულებების კაპიტალური მესერი;

გ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი, გარდა მათი ადმინისტრაციული შენობებისა. აგრეთვე მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი;

დ) სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ღამის განათების ბოძებზე - სამი მეტრის სიმაღლემდე დაშვებით, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებული კვანძებთან, სადენებთან და სხვა ელ-მოწყობილობებტან არანაკლებ ერთი მეტრის სიახლოვისა.

მუხლი 2

აკრძალულია სააგიტაციო მასალის საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოს (მის: ქ.ლაგოდეხი 26 მაისის ქ.N19), პროკურატურის (მის: ქ.ლაგოდეხი დ.თავდადებულის ქ.N11), სამხედრო შენაერთების (მის: სოფელი მაწიმი), პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე განთავსება/გაკვრა.

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 4

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი